

FIF - EaP SMEC - თიბისი ლიზინგი

მდებარეობა:
საქართველო

პროექტის ნომერი:
53249

ბიზნესის სექტორი:
ფინანსური ინსტიტუტები

შეტყობინების ტიპი:
პირადი

დამტკიცების თარიღი:
9 აგვისტო 2022

სტატუსი:
გადმორიცხვის ეტაპი

პროექტის მოკლე ანოტაციის
ინგლისურად გამოქვეყნების თარიღი:
2 აგვისტო 2022

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შესახებ დირექტივის 1.4.2 (iii) ნაწილის მიხედვით: „ბანკის მენეჯმენტის მიერ დამტკიცებული პროექტებისთვის, სადაც დირექტორთა საბჭომ მოახდინა დამტკიცების უფლებამოსილების დელეგირება, PSD გაზიარდება შესაბამისი გაუპროტესტებლობის შესახებ შეტყობინების პერიოდის დაწყებისას, ბანკის წევრ ქვეყანაში, EBRD-ის დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-13 მუხლის iii პუნქტის შესაბამისად“.

პროექტის აღწერა

3 მილიონამდე ევროს (ან ექვივალენტი დოლარში) ოდენობის უზრუნველყოფილი სესხი გამოიყოფა თიბისი ლიზინგისთვის საქართველოში მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSMEs) საინვესტიციო დაფინანსების მხარდასაჭერად და ბაზარზე ევროკავშირის სტანდარტების პოპულარიზაციის მიზნით, აღმოსავლეთ პარტნიორობის მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის პროგრამის ("EaP SMEC"), ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის განახლების მდგრადი ინვესტიციებისათვის, ფარგლებში.

პროექტის მიზნები

პროექტი საშუალებას მისცემს კომპანიას დააფინანსოს საშუალო და გრძელვადიანი ინვესტიციები საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ტექნოლოგიისა და აღჭურვილობის განსაახლებლად, რაც აუცილებელია ევროკავშირის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად პროდუქციის ხარისხის, ჯანდაცვის, უსაფრთხოების ზომებისა და გარემოს დაცვის თვალსაზრისით.

შუალედური შედეგი

ETI ქულა: 75

კონკურენტუნარიანი: პროგრამა წახალისებს მცირე და საშუალო ბიზნესების მიერ უფრო მაღალი, ევროკავშირის დონის სტანდარტების უფრო ადრე მიღებას და შესრულებას და კომპანიის ტექნიკური შესაძლებლობების გაზრდას.

გამძლეობა: პროგრამა ხელს უწყობს გამძლეობას პარტნიორი ფინანსური ინსტიტუტების პორტფელის ადეკვატური ხარისხის შენარჩუნების გზით.

ინფორმაცია კლიენტის შესახებ

TBC LEASING

თიბისი ლიზინგი არის უმსხვილესი უნივერსალური სალიზინგო კომპანია საქართველოში და თიბისი ბანკის სრულ მფლობელობაში არსებული შვილობილი კომპანია.

EBRD-ის დაფინანსების ჯამი

3,000,000.00 ევრო.

3,000,000 ევრო.

პროექტის მთლიანი ღირებულება

3,000,000.00 ევრო.

3,000,000 ევრო.

დამატებითი ფაქტორები

პროექტის ფარგლებში დამატებითი ფაქტორებია:

- (i) დაფინანსების სტრუქტურა, (ხელმისაწვდომ მოქმედების ვადაზე გრძელი, რაც არ არის ხელმისაწვდომი ბაზარზე);

- (ii) ინოვაციური დაფინანსების სტრუქტურა (მწვანე საფინანსო ინსტრუმენტი, რომელიც აერთიანებს კლიმატისა და ESG-ის მოსაზრებებს დაფინანსების სტრუქტურაში);
- (iii) ცოდნა, ინოვაცია და შესაძლებლობების განვითარება (ტექნიკური დახმარება პროგრამის ფარგლებში ხელს შეუწყობს საქართველოში ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისი ინვესტიციების დროულად განხორციელებას)

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხები

მინიჭებული აქვს FI (ESP 2019). თიბისი ლიზინგი მოქმედებს შესრულების მოთხოვნების (PR) 2 და 4 შესაბამისად. კომპანია ვალდებულია ბანკს წარუდგინოს ყოველწლიური გარემოს დაცვისა და სოციალური ანგარიშები, მათ შორის, უახლესი ინფორმაცია E&S პროცედურების განხორციელების შესახებ.

ტექნიკური თანამშრომლობა და საგრანტო დაფინანსება

EaP SME კონკურენტუნარიანობის ქვეოპერაციას დაემატება საგრანტო დაფინანსება (ტექნიკური და არატექნიკური), რომელიც გამოიყოფა ევროკავშირიდან, EBRD-სა და ევროკომისიას შორის დელეგაციის შეთანხმების მეშვეობით, მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის პროგრამასთან დაკავშირებით აღმოსავლეთ პარტნიორობაში:

(i) EaP SMEC პროგრამის ფარგლებში პროექტის კონსულტანტი დაეხმარება თიბისი ლიზინგს საშუალების დანერგვაში. ვერიფიკაციის კონსულტანტი (VC) ჩაერთვება ქვეპროექტების ტექნიკური განხორციელების შემოწმების მიზნით, სანამ საინვესტიციო სტიმული გამოიყოფა შესაბამის მცირე და საშუალო ბიზნესისთვის.

(ii) პროექტს ახლავს 300 000 ევრომდე საინვესტიციო სტიმული კომპანიის ქვემსესხებლებისათვის, რომელიც გამოითვლება თითოეული ქვეპროექტისთვის 10%-მდე, ორიდან უფრო მცირეს (i) ქვესესხის გადმორიცხული თანხის, ან ii) შესაბამისი ქვეპროექტის საინვესტიციო ღირებულების.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

მარიამ მხეიძე

mmkheidze@tbcleasing.ge

+995 322 12 27 77 (3202)

www.tbcleasing.ge

ჭავჭავაძის გამზ. 76 მ, 0162, თბილისი, საქართველო

განხორციელების შეჯამება

PSD ბოლოს განახლდა

2 აგვისტო, 2022.

შუალედური შედეგი

დეტალური ინფორმაციის გაცნობა EBRD-ის შუალედური შედეგების გაზომვასთან დაკავშირებულ მიდგომაზე შესაძლებელია აქ.

ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

EBRD-თან ბიზნეს შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად (რაც არ უკავშირდება შესყიდვებს) დაუკავშირდით:

ტელ: +44 20 7338 7168

ელ. ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისთვის ეწვიეთ EBRD Procurement.

ტელ.: +44 20 7338 6794

ელ. ფოსტა: procurement@ebrd.com

ზოგადი საკითხები

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის საშუალებით.

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (ESP)

ESP-ითა და შესაბამისი შესრულების მოთხოვნებით (PR-ები) განსაზღვრულია EBRD-ის მიერ „გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების“ მიდგომის განხორციელების გზები. ESP და PR-ები მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომ კლიენტებმა დაიცვან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციების შესახებ, ასევე, შექმნან საჩივრების მექანიზმი დაინტერესებული მხარეების მხრიდან საკითხის წამოჭრის, საჩივრების

მიღებისა და მართვის მიზნით, უფრო კონკრეტულად, კლიენტისა და პროექტის გარემოს დაცვისა და სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით. პროექტის ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების ბუნებისა და მასშტაბის შესაბამისად, EBRD დამატებით მოითხოვს კლიენტებისაგან, რომ მათ, საჭიროებისამებრ, გააზიარონ ინფორმაცია პროექტების შედეგად წარმოქმნილი რისკების და ზემოქმედების შესახებ, ან ჩაატარონ არსებითი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და განიხილონ და რეაგირება მოახდინონ მიღებულ უკუგებაზე.

დეტალური ინფორმაცია EBRD-ის საქმიანობასთან დაკავშირებით მოცემულია ESP-ში.

ერთიანი მიდგომა და სტანდარტების დაცვა

EBRD-ის მთავარი შესაბამისობის ოფიცრის ოფისი (OCCO) ხელს უწყობს კარგ მმართველობას და უზრუნველყოფს ბანკის საქმიანობის პროცესში უმაღლესი სტანდარტების შესრულებას საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ბანკის ყველა კლიენტის შემთხვევაში ტარდება კომპლექსური ტექნიკური კვლევა იმისათვის, რომ პროექტებმა არ შექმნან პრინციპების დარღვევის, ან რეპუტაციის შელახვის რისკი ბანკისათვის. ბანკი თვლის, რომ პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება პროექტის შეფასების ეტაპზე, ყველაზე ეფექტური საშუალებაა საბანკო ტრანზაქციების მთლიანობის უზრუნველსაყოფად. OCCO გადამწყვეტ როლს ასრულებს დამცავი ზომების გატარების პროცესში და ასევე, ხელს უწყობს პროექტებში ინვესტიციების განხორციელების შემდგომი რისკების მონიტორინგს.

OCCO ასევე პასუხისმგებელია თაღლითობის, კორუფციის და არასათანადო ქცევის შემთხვევების გამოძიებაზე EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ნებისმიერმა ადამიანმა, ბანკის შიგნით თუ მის გარეთ, რომელსაც გაუჩდება ეჭვი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებით, წერილობითი ანგარიში უნდა გაუგზავნოს მთავარ შესაბამისობის ოფიცერს ელექტრონულ მისამართზე compliance@ebrd.com. თითოეულ ასეთ შემთხვევაში, OCCO დაიწყებს მოკვლევას. მოხდება თითოეული ანგარიშის, მათ შორის ანონიმურის, განხილვა. ანგარიში შეიძლება დაიწეროს ბანკის რომელიმე სამუშაო ენაზე, ან იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ბანკი საქმიანობს. ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად.

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა (AIP)

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვარს, განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გაზიარებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის წარმოების გზები, ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით. EBRD-ის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის გვერდს.

კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის გამოყენებით.

პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM)

თუ კლიენტთან, ან ბანკთან, გარემოს დაცვის, სოციალური ან საჯაროობის პრობლემების მოგვარების მცდელობა წარუმატებელია (მაგ., კლიენტის მიერ პროექტის დონის საჩივრების მექანიზმის საშუალებით, ან ბანკის მენეჯმენტთან უშუალო კომუნიკაციის გზით), ინდივიდებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ EBRD-ის პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელ მექანიზმს (IPAM).

IPAM დამოუკიდებელად განიხილავს პროექტის ირგვლივ წამოჭრილ იმ საკითხებს, რომლებმაც გამოიწვიეს, ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი. მექანიზმის მიზანია - პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა გარემოს დაცვის, სოციალური და საჯაროობის საკითხების გადასაჭრელად; ასევე, იმის დადგენა, არის თუ არა ბანკი შესაბამისობაში გარემოს დაცვით და სოციალური პოლიტიკისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან; და სადაც ეს რელევანტურია, აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრა და ბანკის მიერ მომავალი შეუსაბამობის თავიდან აცილება.

გთხოვთ, ეწვიოთ პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმის ვებგვერდს, IPAM-ისა და მის მანდატის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, ასევე, იმის დასადგენად, თუ როგორ უნდა წარადგინოთ მოთხოვნა განსახილველად; ან დაუკავშირდით IPAM-ს ელ.ფოსტით ipam@ebrd.com, რომ მიიღოთ ინსტრუქცია და ინფორმაცია IPAM-ისა და მოთხოვნის გაგზავნის შესახებ.